

# უამინდობამ ქვეყნის მასშტაბით გზებზე პრობლემები შექმნა



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო დეპარტამენტის ინფორმაციით, რთული მეტეოროლოგიური პირობების, თოვისა და ნისლის გამო, შიდასახელმწიფოებრივი

**მნიშვნელობის (შ-153) ნიჩბისი-დიდგორი-დიდი თონეთის საავტომობილო გზაზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.**

მათივე ცნობით, ქარბუქისა და დაბადი ტემპერატურის გამო, აკრძალულია მისაბმედიანი და ნახევრადმისაბმედიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ჭიათურა-გესტაფონის საავტომობილო გზის კმ1-კმ52 მონაკვეთზე, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის გადაადგილება თავისუფალია.

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში აცხადებენ, გზის დანარჩენ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ძვიერმა ქარმა პრობლემები შექმნა ქუთაისში. სტიქიის გამო რამდენიმე ხე წაიქცა და სახლების სახურავები დაზიანდა. ქარაქის მერის, იოსებ ხახაღვიშვილის განცხადებით, მერიაში ამოქმედებულია ცხელი ხაზი, ხოლო ქარაქში არსებულ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მოზიდვილებულია ჯგუფები, რათა საჭიროების შემთხვევაში მოქარაქეებს დახმარება გაუწიონ.

ძვიერი ქარის გამო ფოთშიც წაქცეულია ხეები, დაზიანებულია ელექტრობოძები. ქარაქის ნაწილს არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია. ჰიდროგრაფიული სამსახურის სინოპტიკური სამმართველოს ცნობით, დღეს ღამით ფოთში მოსალოდნელია

აღმოსავლეთის ქარის გაძლიერება, საშტორმო მდგომარეობაა გამოცხადებული სანაპირო ზოგზე. მათივე ცნობით, სამი დღის განმავლობაში უნარექო ამინდებია მოსადლოდნერი, შაბათს კი გამოიღარებს.

